საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს
სხდომის ოქმი # 10

22.12.2016

შეხვედრის დასახელება	30 „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომა
შეხვედრის თარიღი:	22 დეკემბერი, 2016 წ.
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხ შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''თავმჯდომარე.
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე.
ირმა ქავთარაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.
გიორგი მაჩაბელი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი.
თამარ მახარაშვილი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე.
ელგუჯა მელაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.
ირინა კვახაძე	ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის (AMC) წარმომადგენელი.
მარიამ ბიწაძე	ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი.
ნინო ჩქოვანი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი.

საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტის მენეჯერი.
ვინსენტ რეი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი.
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.
მარიკა ზაქარეიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი.
ანა დიაკონიძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტი, ადგილობრივი ექსპერტი.
ოლივერ დიზი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი.
გიორგი გამყრელიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი
პაატა ჟორჟოლიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
პიტერ ტასკერი	ევროკავშირის შეფასების მისიის ექსპერტი.

ვიტალი დუნდუა	ორგანიზაცია ,,ადამიანი გაჭირვებაში,, (PIN), პროექტის კოორდინატორი.
გიორგი ნანობაშვილი	გაერის განვითარების პროგრამა (UNDP), ეკონომიკური გუნდის განვითარების უფროსი.
ნიკოლოზ ჩანადირი	სოციალური მომსახურების სააგენტო, დირექტორის აპარატის უფროსი.
ნინო მიხანაშვილი	ICBL – საქართველოს კომიტეტი, პროექტის კოორდინატორი.
ნანა გაბესკირია	ICBL – საქართველოს კომიტეტი, დასაქმების კონსულტანტი.
ზურაბ ორაგველიძე	ICBL – საქართველოს კომიტეტი, დასაქმების კონსულტანტი.
ტიტე არაშიძე	დემოკრატიის ინსტიტუტი, პროექტების კოორდინატორი.
საბჭოს სხდომის მდივანი	
მარიამ შოთაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის დღის წესრიგი

N	თემა	ხანგრძლივობა	მომხსენებელი
1	სხდომის გახსნა და დღის წესრიგის გაცნობა	5 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე.

		5 წთ.	**ვალერი კვარაცხელია,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.
		5 წთ.	**ნინო ყოჩიშვილი,** ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.
2.	***განსახილველი საკითხები:***		
2.1	2016 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანგარიში.	10 წთ.	**ირინა წეროძე,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
		10 წთ.	**ელზა ჯგერენაია,** შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2.2	□ საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული 2015 წლის ვალდებულებების შესრულების შეფასების შედეგები; □ საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული EU მისიის შუალედური შეფასების შედეგები; □ შემდგომი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის პერსპექტივები.	20 წთ.	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
2.3	საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ფარგლებში ტექნიკური დახმარების პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმოხილვა	10 წთ.	**ოლივერ დიზი,** ევროკავშირის პროექტის “დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში”
2.4	ინფორმაცია ტვინინგის კონტრაქტის „დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება საქართველოში“ შესახებ	10 წთ.	**ტიბორ ბორბელი პეცზე,** უცხოელი მრჩეველი

2.5	ინფორმაცია ევროკავშირის პროფესიული განათლების საგრანტო სქემის პროექტების შესახებ	40 წთ.	**ნინო მიხანაშვილი** (ICBL) **გიორგი ნანობაშვილი** (UNDP) **გიორგი სანტურიანი** (PIN) **გენო გელაძე** (IOD)
3	**სხდომის შეჯამება და დახურვა**	5 წთ.	**ქეთევან ნატრიაშვილი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე.

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქ-ნ ქეთევან ნატრიაშვილმა და სიტყვა გადასცა ევროკავშირის წარმომადგენლებს საქართველოში. ბ-ნი ვინსენტ რეი და ქ-ნი ნინო ყოჩიშვილი მიესალმნენ სხდომის მონაწილეებს და აღნიშნეს საბჭოს სხდომებში თითოეული წევრის მონაწილეობის მნიშვნელობა. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და სთხოვა მომხსენებლებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძესა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელს, ბ-ნ გიორგი გამყრელიძეს, წარმოედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - 2016 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანგარიში. მომხსენებლებმა, სხდომის მონაწილეებს, მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია, 2016 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ. ქ-ნმა ირინა წეროძემ, ასევე ისაუბრა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. დღის წესრიგის პირველი საკითხის ფარგლებში, სხდომის მონაწილეებს დამაზუსტებელი შეკითხვები ჰქონდათ შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირებით. შეკითხვები და შენიშვნები არ გამოუთქვამთ პროფესიული განათლების შესახებ გაკეთებულ წარმოდგენილ მოხსენებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის პირველ ნაწილთან - საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული 2015 წლის ვალდებულებების შესრულების შეფასების შედეგები - დაკავშირებით ისაუბრა ბ-ნმა ვინსენტ რეიმ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის გენერალური დირექტორატიდან ოფიციალური წერილი არ მიუღია ქართულ მხარეს, მან აღნიშნა, რომ პოლიტიკის მატრიცით

2015 წელს გათვალისწინებული ვალდებულებების შეფასების შედეგად, ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მესამე ტრანშის ნაწილობრივი გადმორიცხვის შესახებ. აღნიშნული პოზიციის საფუძველს წარმოადგენს ბრიუსელის ოფისის, 2016 წლის ბოლოს შეცვლილი მიდგომა, რომელიც უკავშირდება აქტივობების შესრულების ვადებს და დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებების არარსებობას, პოლიტიკის მატრიცაში მითითებული ზედმიწევნით იდენტური სახელწოდებით. შედეგად დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა სამი პირობა:

- „პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება“ (Improved quality of VET qualifications) ინდიკატორისათვის 2.2.2 ,,გადახედილი ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩო ითვალისწინებს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციების განახლებულ ჩამონათვალს. გაუმჯობესებული პროფესიული კვალიფიკაციების კატალოგი არის დამტკიცებელი, გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი მომხმარებლებისათვის,,;
- ეფექტური ტრანზიცია გადამზადებიდან დასაქმებაში“ (Efficient transition from training to employment) ინდიკატორისათვის 3.1.2 ,, ახალი კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების სქემა პილოტირებულია 18 სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში და დასაქმების 5 ცენტრში;
- „განვითარებული სოციალური პარტნიორობა“ (Enhanced social partnership) ინდიკატორისათვის 3.3.1 ,, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია შემუშავებულია ნაციონალურ დონეზე შექმნილია, გამოქვეყნებულია, განხილულია (მათ შორის: მიზნები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები, ელექტრონული წვდომა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმებზე დაინტერესებული სტუდენტებისათვის და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, მენტორინგი კომპანიის შიგნით, მოსწავლეების შეფასება, კავშირი დამსაქმებლებთან, მონიტორინგი).

საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა და აღნიშნა, რომ არ ეთანხმება შეფასების შედეგებს. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ იმ უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის მატრიცის ფარგლებში განახორციელონ აქტივობები, აქვთ მჭიდრო კოორდინაცია ევროკავშირის წარმომადგენლობასთან საქართველოში და მუდმივად გადიან მათთან კონსულტაციებს აქტივობების შესრულების ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით. ვალდებულებების შესრულებისას, უწყებები ასევე ეყრდნობიან შუალედური შეფასების მისიის ანგარიშს. შესაბამისად ის გარემოებები, რომელიც ევროკომისიის მიერ არ იქნა მიჩნეული დამაკმაყოფილებლად, ეყრდნობოდა შესრულების იმ ინსტრუქციებს და შეთანხმებებს, რაც ქართულ მხარეს ჰქონდა მიღებული 2015 წელს. განსაკუთრებით ართულებს საქმეს ის ფაქტი, რომ შეფასების პირობები იცვლება ქართულ მხარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე წლის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ვალდებულებების წარმატებით შესრულებამ განაპირობა 2016 წლის სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება, რაც უკავშირდება სამივე ზემოხსენებულ პუნქტს. მაგალითისთვის შეგახსენებთ, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დამტკიცებული კონცეფციის ფარგლებში, უკვე პრაქტიკულად ხორციელდება დუალური პროგრამები სამ კვალიფიკაციაში. არსებობს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებებიც, რომელიც შეიძლება არამნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პოლიტიკის მატრიცაში მითითებული დასახელებისგან, თუმცა სრულად შეესაბამება ქართულ საკანონმდებლო ჩარჩოს და რაც მთავარია, ფაქტობრივი სისტემური თუ პროგრამული ცვლილებები/შედეგები სახეზეა.

შესაბამისად აღნიშნული პროგრესის გაუთვალისწინებლობა, ნამდვილად დააზარალებს ქვეყნის ინტერესებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე გაამახვილა ყურადღება იმ სამუშაოებზე, რომელიც დაიწყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის განათლების სფეროში მომდევნო თანამშრომლობის განხილვის მიზნით და რის საფუძვლადაც სწორედ მიმდინარე ხელშეკრულების წარმატებით განხორციელება ითვლება. აღნიშნული მოსაზრება კი ეფუძნება, წინა წლებში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, რომელიც გამყარებულია შესაბამისი მონიტორინგის ანგარიშებით. ხაზგასასმელია, რომ სამთავრობო უწყებები მკაცრად მიყვებოდნენ მითითებას შედეგებზე ორიენტირებული ანგარიშგების შესახებ და ბუნებრივია, ითვალისწინებდნენ საქართველოს კანონმდებლობას. თუკი მიდგომა იცვლება და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომაა მისაღები, დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, მიუხედავად საქართველოს საკანონდმებლო ჩარჩოს მოთხოვნებისა, ან იცვლება პოლიტიკის მატრიცის გარკვეული პუნქტების განსაზღვრებების ინტერპრეტირება, ეს წინასწარ შეთანხმდეს მხარეთა შორის (რაც ამ ეტაპზე უკვე დაგვიანებულია).
საქართველო სრულად ასრულებს აღნიშნული ფინანსური შეთანხმებით და ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს. ქვეყანას აქვს მკვეთრად გაცხადებული ორიენტირი და მიდგომის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ შეიძლება არასრულად წარმოაჩინოს ღირებული მიღწევები და ქვეყნის პროგრესი. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეთანხმებული იყოს მოლოდინები და ანგარიშგების წესები, რომ სამინისტროებმა ამის მიხედვით წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია შეფასების მისიას.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა, სთხოვა ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებს, განემარტათ, რა პროცედურით უნდა მიეწოდოს ქართული მხარის არგუმენტაცია შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით ევროკომისიას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშის ოფიციალურად მიღების შემდგომ, მისი განხილვა მოხდება უკვე დაგეგმილ საბჭოს კიდევ ერთ სხდომაზე და დაინტერესებული მხარეების შეჯერებული პოზიცია ოფიციალურად გაეგზავნება ევროკომისიას. ასევე, შემდეგი სხდომისთვის გადაიდო შემდგომი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის პერსპექტივების განხილვაც.
დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის მეორე ნაწილთან - საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული EU მისიის შუალედური შეფასების შედეგები - დაკავშირებით ისაუბრა ბ-ნმა პიტერ ტასკერმა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ მხარეს არ მიუღია შუალედური შეფასების წერილობითი ანგარიში ბ-ნმა პიტერ ტასკერმა ზეპირად გააცნო დამსწრეებს, თუ რა გამოწვევები დაფიქსირდა შეფასების პროცესში. მან აღნიშნა, რომ პროგრესი შესამჩნევია, თუმცა არის გარკვეული საკითხები, რომლებზეც განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს ყურადღება ქართულმა მხარემ და უზრუნველყოს სრულყოფილი შესრულება შეფასების მისიის ვიზიტამდე, რომელიც 2017 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი. ბ-ნმა პიტერ ტასკერმა ყურადღება გაამახვილა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების უზრუნველყოფაზე ყველა სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში და სოციალური პარტნიორების ჩართულობაზე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში.

ბ-ნმა ოლივერ დიზიმ წარმოადგინა საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ფარგლებში ტექნიკური დახმარების პროექტის 2016 წლის ანგარიში და ისაუბრა წლის განმავლობაში, როგორც პროფესიული განათლების, ასევე დასაქმების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

სხდომის მონაწილეებს ტვინინგის კონტრაქტის „დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში 2016 წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა, ბ-ნმა ნიკოლოზ ჩანადირმა.

2016 წელს განხორციელებული სამუშაოს ანგარიში წარმოადგინეს ევროკავშირის საგრანტო სქემის პროექტების განმახორციელებელმა სამმა დაწესებულებამაც.

წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ ჰქონდა სხდომის არც ერთ მონაწილეს.

შეხვედრა შეაჯამა ქ-ნმა ირინა წეროძემ.

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' სხდომის თავმჯდომარე:

ქეთევან ნატრიაშვილი

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' სხდომის მდივანი:

მარიამ შოთაძე